**შპს"მირკაანი" (ს/კ404467046)**

**განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ**

1. **ზოგადი ინფორმაცია**

1.1. შპს"მირკაანი" (შემდგომში „საზოგადოება") დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლის 06 აპრილი, საიდენტიფიკაციო ნომრით: 404467046.

1.2. საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:
- სატვირთო საავტომობილო გადაზიდვები;

1.3. საზოგადოებაარისმესამე კატეგორიის საწარმო.

2. **მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:**

2.1. საზოგადოების მიერ 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება პირველად. წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი;

2.2. საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

2.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)" - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 01 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;

2.4. საზოგადოება წინა პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 01 იანვრიდან;

2.5. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც საზოგადოება იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ,საზოგადოების პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;

2.6. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების

MIRKAANI LTD
404467046
fl.34, 2/4, S.Virsaladze str.
TBILISI, GEORGIA

მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის 2017 წლის ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც საწარმოთა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე;

2.7. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;

2.8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით;

2.9. საზოგადოება იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელსდა ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს; ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულებები აფასება არ გაკეთებულა.

2.10. მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე - დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება;

2.11. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ არიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულადერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში;

2.12. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საშემოსავლო გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ;

2.13. ბანკის სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება საბანკო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა;

MIRKAANI LTD
404467046
fl.34, 2/4, S.Virsaladze str.
TBILISI, GEORGIA

2.14. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახდო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახდის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);

2.15. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. პარტნიორებს შეუძლიათ გაზარდონ საზოგადოების კაპიტალის ოდენობა დამატებითი შენატანებით და საზოგადოებაში ახალი პარტნიორის მიღებით. შენატანი საზოგადოების კაპიტალში შეძლება წარმოდგენილი იქნეს, როგორც ფულადი, ისე სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონების სახით.

2.16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორეტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია;

2.17. ფინანსურიმდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს:
- ბალანსს (შენიშვნებით);
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას.

MIRKAANI LTD
404467046
 п.34, 2/4, S.Virsaladze str.
TBILISI, GEORGIA

ზაალ [illegible]შვილი 30.X.2020
შ.პ.ს. მირკაანის დირექტორი

## ფინანსური მდგომარეობა

| ფინანსური მდგომარეობა | 31/12/2019 | 31/12/2018 | 01/01/2018 |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 128623 | 20468 | 279819 |
| სავაჭრო მოთხოვნები | 75824 | 20549 | 129758 |
| გადახდილი ავანსები | 0 | 0 | 0 |
| მარაგები | 1109 | 11331 | 7403 |
| მზა პროდუქცია | 0 | 0 | 0 |
| სხვა | 1109 | 11331 | 7403 |
| საინვესტიციო ქონება | 0 | 0 | 0 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | 3259 | 5734 | 9660 |
| ბიოლოგიური აქტივები | 0 | 0 | 0 |
| თვითღირებულების მოდელით | 0 | 0 | 0 |
| გადაფასების მოდელით | 0 | 0 | 0 |
| გუდვილი | 0 | 0 | 0 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | 0 | 0 | 0 |
| ძირითადი საშუალებები | 419576 | 462878 | 280092 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | 0 | 0 | 0 |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში | 0 | 0 | 0 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | 0 | 0 | 0 |
| სულ აქტივები | 628391 | 520960 | 706732 |
| **ვალდებულებები** | | | |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება | 0 | 0 | 0 |
| სავაჭრო ვალდებულებები | 156283 | 90402 | 15085 |
| ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები | 0 | 0 | 0 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 0 | 0 | 0 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 18697 | 28180 | 19766 |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი | 0 | 0 | 0 |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები | 0 | 0 | 0 |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | 746988 | 800046 | 752497 |
| მიღებული გრანტები | 0 | 0 | 0 |
| სხვა ვალდებულებები | 0 | 0 | 0 |
| სულ ვალდებულებები | 921968 | 918628 | 787348 |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი') | 17500 | 17500 | 17500 |
| საემისიო შემოსავალი | 0 | 0 | 0 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | 0 | 0 | 0 |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი | -311077 | -415168 | -98116 |
| გადაფასების რეზერვი | 0 | 0 | 0 |
| სხვა რეზერვები | 0 | 0 | 0 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | -293577 | -397668 | -80616 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | 628391 | 520960 | 706732 |

MIRKAANI LTD
404467046
fl.34, 2/4, S.Virsaladze str.
TBILISI, GEORGIA

## საქმიანობის შედეგები

| საქმიანობის შედეგები | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| ნეტო ამონაგები | 2299241 | 1781855 |
| საქონლის გაყიდვიდან | 0 | 0 |
| მომსახურების გაწევიდან | 2299241 | 1781855 |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | 0 | 0 |
| სხვა | 0 | 0 |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | -859948 | -888510 |
| საწყისი მარაგები | -11331 | -7403 |
| მარაგების შესყიდვა | -849726 | -892438 |
| გადამუშავების დანახარჯები | 0 | 0 |
| საბოლოო მარაგები | 1109 | 11331 |
| საერთო მოგება | 1439293 | 893345 |
| სხვა შემოსავალი | 0 | 0 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | -398753 | -632077 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | -46858 | -41706 |
| საპროცენტო შემოსავალი: | 0 | 0 |
| საპროცენტო ხარჯი : | -55806 | -57526 |
| იჯარის ხარჯი | -9861 | -17797 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -823924 | -444449 |
| სულ საოპერაციო ხარჯები | -1335202 | -1193555 |
| საოპერაციო მოგება | 104091 | -300210 |
| გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება: | | |
| ფინანსური აქტივები | 0 | 0 |
| მარაგები | 0 | 0 |
| სხვა არაფინანსური აქტივები | 0 | 0 |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან | 0 | 0 |
| მიღებული დივიდენდები | 0 | 0 |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) | 0 | 0 |
| მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე ოპერაციებიდან | 104091 | -300210 |
| მოგების გადასახადი | 0 | 0 |
| მოგება/(ზარალი) | 104091 | -300210 |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი): | | |
| ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი | 0 | 0 |
| სხვა | 0 | 0 |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ | 0 | 0 |
| მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი) | 104091 | -300210 |
| კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი) | -397668 | -80616 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' ) | 0 | 0 |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | 0 | -16842 |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | 0 | 0 |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | 0 | 0 |
| კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | -293577 | -397668 |

MIRKAANI LTD
404467046
fl.34, 2/4, S.Virsaladze str.
TBILISI, GEORGIA